№ 144 ივლისი 10, პარასკევი 1892 ივლისი 10, პარასკევი № 144


ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ** და მეუღლე მისი **ᲙᲜᲔᲘᲜᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა შვილის თვისისას, **ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡᲐᲡ**; და უმორჩილესად სთხოვენ მობრძანდნენ გარდაცვალებულის განსასვენებლად სოფ. ქვემო-ხვედურეთში, 11 ამა ივლისს, შაბათს, დილის ათს საათზედ. (1—1)

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲘᲛᲘᲝ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **ᲡᲐᲙᲝᲡᲛᲔᲢᲘᲙᲝ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **ᲡᲐᲰᲘᲒᲘᲔᲜᲝ ᲘᲐᲠᲐ-ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ**.

**ხელობაღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჭაერს, ჭაერის მყავაბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც მალიან ჭშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისეულ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის საავთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—34)



გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

**ᲑᲠᲫᲝᲚᲐ**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲙᲝᲑᲐᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲔᲠᲗᲔᲑᲚᲐᲓ,**

ანუ

გიორგი სააკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემსაზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.


## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** 7 ივლისს დილით ტფილისის მიხეილის სამკურნალოში იყო ხოლერით ავადმყოფი 18 კაცი და 3 ქალი; იმავე დღეს მიიყვანეს 5 კაცი და 1 ქალი: მედალაშვილი (5 ნაწილი, ანჩისხატის ქუჩა, პავლოვის სახლი); გალუსტოვი (6 ნაწილი, ქუჩაზედ მწოლარე ნახეს); სალეცკი (5 ნაწილი, პოლიციის ქუჩა, ანტონოვის სახლი); ვასილიევი (9 ნაწილი, ნიკოლოოზის ქუჩა, ვალტერის სახლი); ისმაილ-ოღლი (6 ნაწილი, ვარანცოვის ქუჩა, წოვიანოვის სახლი), და ავდაშევი (5 ნაწილი). ამას გარდა მეცხრე ნაწილიდგან სამკურნალოში მიიყვანეს ქუჩაში მწოლიარე უცნობი კაცი, რომელიც 5 წამს შემდეგ გარდაიცვალა. ამავე დღეს მორჩა ორი კაცი: გულიაევი და ობრუჩოვი.

7 ივლისს ღამე სამკურნალოში მიიყვანეს ერთი ქალი — ლელაძისა (3 ნაწილი). იმავე ნაწილიდგან სამკურნალოში წაიყვანეს ხოლერით ავადმყოფი კიკნაძისა, რომელიც გზაში გარდაიცვალა,

8 ივლისს დილით სამკურნალოში იყო 21 კაცი და 5 ქალი, ამათში 12 კაცი უკვე რჩება.

სამკურნალოს გარეშე ავად გახდა 7 ივლისს სპარსეთის ქვეშევრდომი ჯაფარ ნოღიევი, 40 წლისა, (თათრის მოედანი, პარუნბეგოვის ქარვასლა) და ამავე დღეს 6 საათზედ გარდაიცვალა. იმავე დღეს მადათოვის კუნძულზედ სამარის გუბერნიისგლეხს პიჩკოვს 9 თთვის ვაჟიშვილი გარდაეცვალა ხოლერით.

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში დილით 8 ივლისს იყო ხოლერით ავადმყოფი 26, დღისით ერთი კიდევ მოემატა; მორჩა ოთხი, გარდაიცვალა 3. 9 ივლისს ღამე მოიყვანეს 3, გარდაიცვალა 3. დილით 9 ივლისს ხოლერით ავადმყოფი იყო 20. სამკურნალოს გარეშე 7 ივლისს გახდა ავად კიდევ 8, გარდაიცვალა 2. 8 ივლისს გახდა ავად 6, გარდაიცვალა 2.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 6 ივლისს სამკურნალოში მიიყვანეს 22, მორჩა 10, გარდაიცვალა 10, ავად არის 118. სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 22. მთელს გუბერნიაში ავად გახდა 114, მორჩა 32, გარდაიცვალა 105, ავად არის 81. სამხედრო სამკურნალოში გარდაიცვალა 1, ავად არის 27. საპატიმროში ავად არის 9.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 6 ივლისს შუშაში ავად გახდა 5, მორჩა 5, გარდაიცვალა 1, ავად არის 24. მაზრაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 10, ავად არის 3. ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 22, მორჩა 6, გარდაიცვალა 26, ავად არის 15. ყაზახის მაზრაში ავად არის 1. განჯაში ავად გახდა 31, გარდაიცვალა 11, ავად არის 57. მაზრაში ავად გახდა 33, მორჩა 7, გარდაიცვალა 10, ავად არის 16. ნუხაში ავად გახდა 6, მორჩა 1, გარდაიცვალა 4, ავად არის 4. მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2, ავად გახდა 2. ზანგეზურის მაზრიდგან ცნობები არ მიუღიათ. მთელს გუბერნიაში 122 ავადმყოფია.

*** განჯა: 7 ივლისს ავად გახდნენ: მეშაშინეს თანაშემწეს ცოლი და განჯის ერთის ჟანდარმის ცოლი.

*** ავჭალა: 7 ივლისს დრაგუნის ტვერის პოლკში, რომელიც ავჭალასთანა სდგას ბანაკად, ავად გახდა ხოლერით სამი ჯარის-კაცი, რომლებიც ტფილისის სამხედრო სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** თაუზი: 7 ივლისს ავად გახდა ხოლერით სადგურის უფროსის თანაშემწე კობიაშვილი.

*** მცხეთა: სადგურზედ ერთი მუშა გახდა ხოლერით ავად.

*** 28 ივლისს კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველმა მკურნალმა პ. ა. გლავაცკიმ ტფილისის მიხეილის სამკურნალოში მყოფნი ხოლერიანი ავადმყოფნი ინახულა.

*** ქალაქის გამგეობასა ჰყავს მთელი რაზმი მუშებისა, რომელნიც ქუჩებსა ჰგვიან. ამ მუშათა შორის შეჰხვდა ხოლერა ორ კაცს და ამის გამო მთელმა რაზმმა განიზრახა საქმეზედ ხელის აღება და სახლში წასვლა სოფლად. რადგანაც ამ გაჭირვებულ დროს მუშების წასვლა შეაფერხებდა ქალაქის გასუფთავების საქმეს, საქალაქო ინჟენერმა ბ-ნმა ენფიანჯიანცმა შეკრიბა ერთად მუშები და ჰკითხა მიზეზი წასვლის სურვილისა. მუშებმა უთხრეს, რომ ავადმყოფებსა ჰხოცავენ და ვერ დავრჩებითო. ამის გამო დიდხანს ელაპარაკა მუშებს ინჟენერი და, როგორც იყო, ჩააგონა, რომ არა თუ არა ჰხოცავენ ავადმყოფებს, პირ-იქით, ათი ათას თუმნობითა ჰხარჯავენ ფულსა, იმდენ ექიმებსა და ფერშლებს, იმდენს მოსამსახურეებს აყენებენ თავს, რომ თვლა აღარ არის, ოღონდ-კი როგორმე მიჰხედონ ავადმყოფს, საცოდავი ადამიანი საჩვენოშივე გამობრუნონ და ხელიდგან წაჰგლიჯონ სიკვდილსაო. ვისაც არა გჯერათ, აი, როცა გინდათ, წამომყევით და მე გაჩვენებთ თვით იმ ხოლერიანებს, რომელნიც გიამბობენ, რა ქრისტიანულის სიყვარულით ეკიდებიან საწყლებს, რომ როგორმე გადაარჩინონ უბედურებას. მუშებმა შეისმინეს ინჟენერის ჩაგონება და კვლავ დარჩნენ თავ-თავიანთ საქმეზედ. ინჟენერმა მოუმატა ჯამაგირებიც და სიჩაიოსაც უმართავს მადათოვის კუნძულზედ ქალაქის ხარჯით.

*** პირველ ამ თთვეს მორიგი ტირაჟი იყო მეორე სესხის ობლიგაციებისა. ტირაჟში გამოვიდა თერთმეტი ბილეთი თითო ას თუმნიანი და შვიდიც ათ-ათ თუმნიანი, სულ 11,700 მანათისა.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: ამ დღეებში გოლოვინის პროსპექტზედ ვიპოვნეთ ქალის პატარა საათი. პატრონს შეუძლიან მოიკითხოს სათავად-აზნაურო ბანკის (არწრუნისეულს) ქარვასლაში, მაღაზია № 125.

*** ადგილობრივს გაზეთებში ბევრსა სწერენ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა ხმარობს ხოლერის წინაალმდეგ. სხვათა შორის გაზეთებში ეწერა, რომ რკინის გზის ყველა სადგურზედ მოხელეთა და მოსამსახურეთა უფასოდ ჩაის ასმევენ და ადუღებულს, გაციებულს წყალსა სდგამენ სასმელადაო. ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის სადგურის საქონლის განყოფილების მოსამსახურეთ, თუმცა რაღაცა, ჩაის მინაგვარს სასმელს აძლევენ, მაგრამ, ჯერ ერთი, უშაქროდ და, მეორეც, ისეთის ჭუჭყიანის ჭიქებით, რომ ადამიანს შეეზიზღება ამ ჭიქებით ჩაის დალევა. ჩაის ჭურჭელიც ნაკლებად არის. ყველა ეს იმისგან წარმოსდგება, რომ ჩაის გამკეთებლად ცალკე კაცი არ არის და იგივე მოსამსახურე აკეთებს ჩაის, რომელიც ოთახებში იატაკსა ჰგვის და სწმენდავსო. სასმელად ადუღებულს წყალს არ აციებენ, პირდაპირ ვედროებში ასხამენ და ისე სდგმენ სადგურზედაო.

*** სოფ. სადილაშენი (ფრონის ხეობა): ხოლერას ველით ტფილისიდგან და, მეტი რა ჩარა იყო, უნდა თავდარიგს შევუდგომოდით მის დასახვედრად. ასეც მოვიქეცით. თვით საზღვარ-გარედ, ე. ი. ფრონის ჩასართავში, ჩვენმა მამასახლისმა კაცები დააყენა და დაავალა: არავინ შემოუშვათ ქალაქიდგან მომავალი სამამასახლისოში, ვიდრე სამ-ოთხს დღეს არ დაჰყოფენ მტკვრისა და ფრონის ნაპირებზედაო და თუ ამ ვადის შემდეგ სენი არ გამოაჩნდებათ, ნება მიეცით სოფლებში წამოსვლისაო. ეს განკარგულება შეეხება გარეშე საქმეებს. თვით სამამასახლისოში მალებული ზომანი უფრო საყურადღებონი არიან. ყოველს პატარა სოფელში, რომლებისაგანაც შესდგება სამამასახლისო, დაწესდა სასანიტარო კომისიები ქალებისაგან. მოგეხსენებათ, ზაფხულის თთვენი სისხლის პურის ჭამის დროა გლეხისათვის და აბა სად მოიცლის, იფრატუნოს ბაკ-ბოსლებში და ნაგავი და ნეხვი აზიდვინოს სოფელ გარეთ. ამ საქმისათვის სწორედ ქალები იყვნენ საჭირონი, როგორც უფრო მოცლილნი. მართლაც, ქალებმა-სანიტარებმა ისეთი მხნეობა და ერთგულება გამოიჩინეს, რომ უკეთესი აღარ შეიძლება. იმასაც ლაპარაკობენ, რომ საცა სანიტარი-ქალები ლაპარაკით და ჯავრობით ვერას არიგებენ, თითონ შეუდგებიან ხოლმე უსუფთაო სადგურის დაწმენდა-დაგვას და მით არცხვენენ სახლის პატრონებსაო.

*** სოფ. წვერი (ფრონის ხეობა): ადგილობრივს მებატონეს ვ. ა. კალატოზიშვილს მოსვლია ფრიად სასარგებლო აზრი და უკვე შესდგომია მის სისრულეში მოყვანას. მოულაპარაკნია ახლო-მახლო მებატონეებთან და აგრეთვე გლეხებთან, გამოვიღოთ პური, ვაქციოთ ფულად და მოვიწვიოთ ჩვენის ხარჯით ექიმი და ფერშალიო. რაღა თქმა უნდა, ხუთიექვსის სოფლის დაქირავებული ექიმი ყველას ადვილად გასწვდება და დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს პატარა ხეობას.

*** სოფ. არდონი (კავკავის მაზრა:) ამას წინად სოფ. არდონში თურმე აქციზის მოხელე სხვა ნაირის ტანისამოსით დადიოდა სახლ და სახლ გასაჩხრეკად და ეძებდა არაყს. სხვათა შორის შევიდა ერთის ოსისას და დაუწყო ძებნა სახლში. სახლის პატრონის დედაკაცებმა და ბავშვებმა წიოკობა შეჰქმნეს. ამ ხმაზედ მოცვივდნენ სახლის პატრონი კაცები, ეგონათ, რომ უბრალო კაცია ვინმეო, და ძალიან ბევრი სცემეს. როცა შეიტყეს, აქციზის მოხელე იყოო, ბევრი ინანეს, მაგრამ გვიან-ღა იყო. ამ საქმეზედ დიდი ამბავი შესდგა, რამდენიმე კაცი დაატუსაღეს და სოფ. არდონის მამასახლისად რუსი დანიშნეს რამდენისამე ყაზახ რუსით.

*** იქიდამვე: სოფ. არდონშივე ამას წინად ერთს-ორს უცბად ძროხა გახდომოდა ავად. პატრონს ძროხა დაეკლა, ძროხის ხორცი თითო-

ნაც ექამა და მეზობლისთვისაც ეთავაზებინა. ძროხის ხორცის მჭამლები ოც-და-თხუთმეტი სული საშინლად მუცელში დაავადარათა, ავად დახდნენ და ძლივს-ღა გადურჩნენ სიკვდილს.

*** გაზეთი „Каспій“ იუწყება: ბაქოს სასანიტარო მკურნალი არხანგელსკი 4 ივლისს ხოლერით გარდაიცვალა.

29 ივნისს გარდაიცვალა ხოლერით ქ. ბაქოს პირველ ნაწილის პოლიციელი კისელევი.

ქ. ბაქოში, მადათოვის სახლში, 4 კაცი გარდაიცვალა ხოლერით. 2 ივლისს ავად გახდა ხოლერით და გარდაიცვალა კიდეც ამავე სახლის პატრონი მადათოვი და სახლში-კი მაინც დეზინფექცია არ მოუხდენიათ.

ქ. ბაქოში სანოვაგეს ვაჭრებს ხელწერილი ჩამოართვეს, ვაჭრობას თავი არ დაანებოთო. ვაჭრებმაც ამით ისარგებლეს და ყველაფერს ფასები მოუმატეს. გირვანქა პური ბაქოში ეხლა 5 კაპ. იყიდება, 10 კვერცხი 25 კაპ., გირვანქა ხორცი 9 კაპ., გირვანქა კარტოფილი და გირვანქა კომბოსტო 5 კაპეიკად.

*** გაზეთი „Нов. Обоз.“ იუწყება: 10 ივლისიდგან სადგურს ბეჟათუბანში რკინის გზის მატარებლით ქუთაისსა და ბათუმში მომავალს ყველა მგზავრს გასინჯავენ.

ბარონ ა. პ. ნიკოლაის ტფილისის პოლიცმეისტერისთვის 1,000 მანათი გამოუგზავნია უფასო საჩაიების გასამართავად.

ყაზახის მაზრის უფროსი 7 ივლისს დეპეშით იუწყება, რომ ყაზახის წყლის მილი გაფუჭდა და იქაური მცხოვრებნი უწყლოდ დარჩნენო.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობას თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა თავ. გ. მ. თუმანიშვილი, ხაზინდრად—პ. ი. ყიფიანი, მდივნად—პ. ი. უმიკაშვილი, იგივე თეატრის ქონების გამგედ, რეჟისორად—ვ. ა. სულხანიშვილი, რეჟისორის თანაშემწედ—ვ. გუნია.

*** ქუთაისი: 4 ივლისს, საღამოს 6 საათზედ, გერმანიის ქუჩაზედ ერთმა მედუქნემ მეორე მედუქნეს რევოლვერი ესროლა და შემდეგ თითონაც ხანჯლით ყელი გამოიჭრა. არც ერთის მორჩენის იმედი არ არის.

*** ბათუმი: 6 ივლისს თეოდოსიიდგან მშვიდობიანად დაბრუნდა მანთაშოვის გემი „Malacca“, რომლითაც კაპიტანმა ვარძელოვმა ბათუმიდგან თეოდოსიაში წაიყვანა ბაქოდგან რუსეთში გაგზავნილი მუშები. გემზედ გზაში ავად არავინ გამხდარა.

*** ტფილისის საგუბერნიო საპატიმროში რამდენიმე პატიმარი ხოლერით გახდა ავად. ამას გამო სამკურნალოს განყოფილებამ საპატიმროში ორი ფერშალი გაჰგზავნა („Т. Л.“).

*** 8 ივლისს პოლიციის მეცხრე ნაწილში, მტკვრის პირის მახლობლად, სოფიო იურჩენკო დუქანში ღვინის სასმელად შევიდა. ცოტა ხანს უკან მისი საყვარელი ალექსი ნაზაროვი მივიდა, წაეჩხუბა და დანით დასჭრა გულში. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავეს დაეძებენ.

# ბაკურით

(გზა-და-გზა გაგონილი)

ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი წერილი მუხრანიდგან პავლე ოჰანეზოვისა, გამოვიღოთ ფული, შევაგროვოთ ერთი ასი თუმანი, მოვიწვიოთ ექიმი და გავხდეთ უზრუნველნი ხოლერისაგან, თორემაო, ამბობდა ბ-ნი ოჰანეზოვი, შეიძლება ხოლერამ წუთი-სოფელს უდროოდ გამოგვასალმოს და ყოველივე ჩვენი ქონება ოხრად დაგვრჩებაო.

როგორც დაინახავდა ჩვენის გაზეთის გულ-მოდგინე მკითხველი, ეს ჩინებული და სასარგებლო აზრი ბევრს სხვა ალაგასაც იჩენს თავს და შეიძლება მალეც განხორციელდეს. ხოლერას ბრძოლა უნდა და აბა ვინ შეებრძოლება მას, თუ არ ნასწავლი კაცი? ამისათვის, ეხლავე, სანამ დრო არ წასულა, უნდა ვეცადნეთ, ცოტაოდენი გავიჭირვოთ, გამოვიღოთ ხარჯი და მოვიწვიოთ ექიმები. თუ დროებით დაქირავებულს ექიმებს მუდმივისად გადავაქცევთ, ამას ხომ რა ემჯობინება. არ იფიქროთ, ამას დიდი ხარჯი მოუნდეს? სრულებითაც არა. განა გაუჭირდება მთელს ხეობას, აი თუნდ ფრონელებს, გამოიღონ წელიწადში ას-ოცი თუმანი და ექიმი იყოლიონ. არა გვგონია. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამაზედ მეტი ეხარჯებათ გორიდგან ექიმის მოყვანაზედ და ისიც წყალში გადაყრილივით უნდა ჩაითვალოს. აბა რას გაარიგებს ორის წამით მოსული ექიმი, როდესაც საათობითა და დღეობით უნდა ავადმყოფს ყურის გდება და ეს-კი მხოლოდ ახლო მყოფ ექიმს შეუძლიან.

**

ეს ყველა კარგი, სოფელი აღარა ხუმრობს, ირჯება, დიდი ღ პატარა შებრძოლებას უპირებს ხოლერას, ასე გასინჯეთ, ქალებმაც-კი სანიტარობა დაიწყეს, ერთის სიტყვით, ყველა ასე თუ ისე მოქმედებს, მხოლოდ ტფილისში კინტოები დარჩნენ უსაქმოდ და პირდაღებულები ცას შეჰყურებენ. საქმე იმაშია, რომ ტფილისის კინტოებს ცხოვრების სახსარი მოუსპო ხოლერამ. სანამ ეს ნაზი და კოპწია ქალბატონი (ვინ იცის, ეგები ქალიშვილიც არის) გვეწვეოდა, კინტოები თაბახებით ათას რასმე ჰყიდდნენ და იმითი ლუკმა პურს ჰშოულობდნენ. ეხლა-კი პოლიციას დაუჟინია, ხილეულობა ეჯავრება უცხო სტუმარს და გთხოვთ, ე. ი. გიბძანებთ, ქუჩაში აღარ გააჭაჭანოთ ხილის ნასახიცაო.

ასე და ამ გვარად ჩვენი ბედნიერი კინტოები უსაქმურად დარჩნენ და მასთან ერთად ულუკმო-პუროდაც. კარგი და პატიოსანი, მაგრამ რამდენს ხანს შეუძლიანთ კინტოებს გაძლება უჭმელად. არა გვგონია დიდხანს. უეჭველია კინტოები გამოსძებნიან სხვა რაიმე ცხოვრების წყაროს და ეს ახალი ცხოვრების წყარო, რაღა თქმა უნდა, იქნება ქურდ-ბაცაცობა. შესაძლებელია, ერთის თვის შემდეგ ქურდობა ისე გახშირდეს ქალაქში, რომ ბრძოლა დიდი გასაჭირი იქნება. მივაქცევთ ჩვენის თვით-მმართველობისა და ადმინისტრაციის ყურადღებას ამ სამწუხარო გარემოებაზედ.

# დაბა ღ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქობულეთი** (ბათუმის ოლქი). პარასკევი დღე ქართველ მაჰმადიანთა ჯუმა (კვირა) დღეა. ამ დღეს ისინი წმიდად ინახავენ. ყველანი, ვინც-კი არიან, დიდი თუ პატარა, ქალს გარდა, ყველა ჯამეში მიდის სალოცავად. ქობულეთის ხეობის ყველა სოფელს ორ-ორ სართულიანი ჯამე აქვს, მაგრამ პარასკევს დღეს ეს ორივ სართული საშინლად ივსება ხალხით. ნამეტნავად ძალიან ბევრი ხალხი ჩამოდის ჩურუქსუში სავაჭროდ და ვაჭრობის შემდეგ ყველა ეს ხალხი თავს იყრის ჩურუქსუს ჯამეში. სულ ყველანი 400-ზედ მეტნი იქნებიან. ყველანი ქართველი მაჰმადიანები არიან, მათში ოცში იქნება ერთმა იცოდეს თათრული ლაპარაკი, წერა-კითხვაკი, ხოჯებსა და მოლებს გარდა, სხვამ არავინ იცის თათრული. უმეტესად ქართულად კითხულობენ. შარშან რომ ვიყავ აქ და წიგნები მოვიტანე, ამ საქმეს ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა, ხოჯამ წინააღმდეგი ლაპარაკიც დაიწყო, მაგრამ მალე დარწმუნდნენ საქმის უვნებლობას და წიგნების შეძენა დაიწყეს. შარშან ამათში იშვიათად შეხვდებოდით ქართულის კითხვის მცოდნეს, მაგრამ წელს-კი ეს ასე არ არის. შარშანდელი 2,000 წიგნი ისე მოფენილა ქობულეთის ხეობაზედ, რომ დღეს ქობულეთში ყოველს ნაბიჯზედ შეხვდებით ქართულის ანბანის მცოდნე თათრებს, ნამეტნავად ბავშვებს. ასე წარმოიდგინეთ, ქალებსაც კი დაუსწავლიათ. მაინც ამათში ქალებმა უფრო იციან ქართული წერა-კითხვა, ვიდრე კაცებმა.

5 ივლისს, პარასკევს დღეს, მირჩიეს ჯამეზედ მისვლა და წიგნების მიტანა. წავედი და მოვისმინე იმათი დილის ლოცვა. ლოცვა არაბულს ენაზედ იყო. ხალხს სულ არ ესმის ამ ენაზედ ლოცვა. ლოცვის გათავებამდის ზოგნი გალავანში გამოვიდნენ და დამიწყეს წიგნების თხოვნა. მთელი აქ მყოფი ქართველობა დიდად გახარებული იყო, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. დიდის სასოებით მოისმინეს „მუჰამედის ცხოვრების“ წაკითხვა. ყველა ამას ამბობდა: „რა ფერ დაგიბასმავთ, ბატონო, ესა და რა ფერ დაგიბასმავთ!“ „მუჰამედის ცხოვრების“ კითხვა გათავდა. მერე იმათის ლოცვების კითხვა დავიწყე. ხალხი საოცარს მდგომარეობაში ჩავარდა: ღაღანი და სიხარული დაიწყეს. ჯამეში აღარავინ დარჩა და სულ კარში გამოვიდნენ. მოლებს ძალიან ეჯავრათ. ლოცვა გათავდა. მოლებიც გამოვიდნენ. ამ დღეს აქ სხვა-და-სხვა სოფლის მოლებიც მოსულიყვნენ. როცა საქმე შეიტყეს, ამათ უფრო ესიამოვნათ. აბა, ჩქარა წიგნები, „აბა, იშ ალა! აბა, შენი ჭირიმე“. ღონისძიება არ არის, 400 კაცი ერთად მეხვევა გარს, ყველა მთხოვს წიგნებს. დახმარება აღმომიჩინეს დედი-ალა ნიჟარაძემ და გულ-ალა კაკალოღლიმ, აქაურ სამმართველოს გამგებლებმა. ამათ ხალხი დააყენეს ერთ მხრივ, ესენი წიგნებს იღებდნენ და მეორეს მხრით მიდიოდნენ. წაიღეს ძალიან ბევრი წიგნი. ბოლოს ხოჯები მოვიდნენ და

# ფელეტონი

## ჩვენი უთავბოლობა

ხერხი სჯობია ღონესა.

III*)

აი რამდენიმე ცოცხალი ნიმუში ხალხის დამღუპავ აღებ-მიცემობისა. თელავიდგან იწერება გაზ. „ივერიაში“ ბ-ნი „დამსწრე“ შემდეგს: „ღვინის დაწურის დროს ქრისტეს ტირილია ზოგიერთის აქაურის მემამულისა და გლეხის მარნებში. ჯერ ღვინის წურვა დაწყებულიც არა აქვთ, მაშინვე გაჩნდება სისხლის მწოვარა ვაჭარი თავის რუმბითა და უზომო საწყაოთი (Мужикъ пиво заварилъ, а чортъ уже стоитъ съ ведромъ — მაგონდება, მომიტევეთ). დაწურვის დროს პირველად უნდა აივსოს თავისი რუმბი, გამოაცალოს უკანასკნელი ლუკმა-პური გლეხს. ეხლა არ იკითხავთ, რაში მიაქვთ იმდენი ღვინო? თითქმის მუქთად. ერთი თუმანი, თხუთმეტი მანათი თუ მიუსესხებია გლეხისათვის და ვადაზედ რომ ვერ ჩაუბარებია, „ნეუსტოიკითა“ და სარგებლით ერთი ან ორი საპალნე ღვინო მიაქვს. აი ნიმუში: ერთს ვაჭარს ყ—ს გაუსესხებია ერთს აქაურს თავადიშვილზედ ორმოც და ათი თუმანი და რვა-ცხრა წლის განმავლობაში სარგებლითა და „ნეუსტოიკით“ ექვსას თუმნად გაუხდია. ამ ფულში საწყალს ფულის ამღებს სამას თუმნამდე გადაუხდია და მოვალე დანარჩენ სამასს თუმანსაც ედავება. ამისთანა მაგალითები ბევრია აქ და ნეტავი როდის იქნება, რომ ბოლო მოეღოს ამ ულმერთო სარგებელს და უსინიდისოდ გამდიდრებას“ (№ 230—91 წ.). „ნოვოე ობოზრენიეს“ სწერენ თელავიდგანვე სხვათა შორის შემდეგს: „На-дняхъ въ сел. Ахмета съ аукціона вино продано по 18 копѣекъ за чапу... вино дешевле воды! Многіе торги, не смотря на то, что оцѣнка производится самими взыскателями, и, конечно, крайне низко, не состоялись, за отсутствіемъ желающихъ вступить въ состязаніе, и, стало быть, вторые торги начнутся съ копѣекъ... Такимъ образомъ, всѣ труды и надежды бѣднаго мужика будутъ сломаны міроѣдами, и мужикъ, попрежнему, останется въ неоплатномъ долгу. Раззоръ по закону, съ соблюденіемъ всѣхъ формальностей, но нѣтъ закона и кары на міроѣдовъ! Что дѣлать? Гдѣ и въ чемъ искать спасенія, исхода—вотъ жгучіе вопросы“ (№ 2703—91 წ.). ო, სახიერო ღმერთო ძლიერო! რას არ ჰნახავს კაცის თვალი ჩვენს საძაღლ-ღორედ გამხდარს ქვეყანაში!.. „Отецъ человѣковъ! Твоя ли рука произвела на свѣтъ этихъ змѣевъ, этихъ крокодиловъ, этихъ тигровъ, питающихся костями и мясомъ своихъ ближнихъ и пьющихъ, какъ воду, ихъ кровь и слезы!..“ ღმერთო, რამდენს ტანჯვასა და უსამართლობას ითმენს ადამიანი ადამიანისაგან!.. Чуденъ свѣтъ и дивны люди!..

უფალო შემიწყალე, სულ ამ ცუდის აღებ-მიცემობის ჭირსა და გენიაში იტანჯება და იღუპება ჩვენი ხალხი და არ იქნა, ორფეხა მელებისგან გატყავებულ ქვეყანას კაცთ-მოყვარეების გონივრული მფარველობა ვერსაიდგან გამოუჩნდა. ვისაც დედამიწისათვის სისხლის ოფლი არ უწურებია შრომით და არ იცის, რა ცეცხლის ფასად უჯდება გლეხს თავის წვითა და დაგვით მონაგრებული ღვინო, სულადი და სხვა ჭირნახული, ის ვერც ასე ადვილად მიჰხვდება გლეხის დიდს ზიანს, ტანჯვას და მწუხარებას, გამოწვეულს უწეს-რიგო აღებ-მიცემობისაგან. აი რას უნდა მიაქციოს მთავრობამაც თავისი უმთავრესი ყურადღება, თუ როგორ იღუპება ხალხი ორფეხა ნადირებისაგან იაფ-ფასიანის კრედიტის უქონლობის გამო. მეორეც ეს, დღეს რომ საზღვარ-გარეთიდგან მთელი რუსეთი ივსება ჯანის მომხიბლავის საწამლავებით შეზავებულის ღვინოებით, დროა ამას ბოლო მოეღოს, კრიჭა შეეკრას და რუსეთის კუთხეების ღვინოებმა დაიჭირონ რუსეთისავე ბაზრებში გამარჯვების დროშა-ალამი ქვეყნის ეკონომიურ და ჰიგიენურ კეთილდღეობისათვის. მხოლოდ დიდს საკეთილო ნაყოფს მაშინ მოუტანს ქვეყანას ასეთი კრიჭის შეკვრა, როდესაც შეეკვრებათ ცოდვიანი კრიჭა თვით დაბა-სოფლად დაბანაკებულს ხალხი-ჭამია ვაჭარ-ჩარჩებსაც, რომელნიც მავნე-მაცდურებსავით გახარიხებულან მწარმოებელთა და მომხმარებელთა შუა და როგორც უნდათ, ისე ჰყვლეფავენ პირველებსაც, და მეორეებსაც. შორს რომ არ წავიდეთ ამის დასასაბუთებლად, აი რას ამბობს გაზ. „მეურნე“: „სოფ. ალიბეგლოში მ—ძეს ამ სამის წლის წინად გაუმართავს არყის ქარხანა. ყოველ-წლივ დიდ-ძალს ყურძენსა და თუთას ჰყიდულობს. თუთიდგან მარტო არაყსა ჰხდის, ხოლო ყურძნიდგან არაყსაცა ჰხდის და ღვინოსაც აყენებს. შარშან, მაგ., იყიდა ყურძენი 8,000 მანათისა, რომლიდგანაც ასსამოცი საპალნე ღვინო დააყენა და 700 ვედრამდე არაყი გამოჰხადა. საპალნე ღვინო გაყიდა 60 მანათიდგან 80 მანათამდე, არაყი ვედრა (სამი თუნგია)—ექვს მანათად“ (№ 24, 1888 წ.). მაშასადამე, საპალნე ღვინო რომ შვიდ თუმნად ვიანგარიშოთ საშუალოდ და არაყი 6 მანათად—შეადგენს 15,400 მანათს, გამოვრიცხოთ აქედგან 8,000 მანათი თანხა და თუნდ 2,000 მანათიც ხარჯი, წმინდა მოგება დარჩებოდა პატრონს რამდენისამე თთვის განმავლობაში 5,400 მანათი. ეს 5,400 მანათი რომ თავისი თითონვე დარჩომოდა სოფელს მევენახობიდამ წეს-რიგიანის აღებ-მიცემობის წყალობით, თქვენმა მზემ, დიდი ყოველ-წლიური შესამატი იქნებოდა ერთის სოფლისათვის ჯერ მარტო ესაც-კი, სხვა რომ სულ იქით იყოს. ამასთან ესეც წარმოიდგინეთ, იმ ღვინო-არყის წამღები ვაჭარ-ჩარჩები რამდენს ას თუმანს მოგებას აძრობდნენ ჯანიდგან მომხმარებლებს! ერთის სიტყვით, დღევანდელი უწეს-რიგო აღებ-მიცემობის უმთავრესი დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ ასი და ათასი სათოკე ვაჭარ-ჩარჩი გაამდიდროს და ზღვის ოდენა მშრომელი ხალხი-კი დაღუპოს და მიწასთან გაასწოროს თავისის თავისა და მთავრობის სავაგლახოდ.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისურვეს ლოცვებისა და „მუჰამედის ცხოვრება“. წიგნების მიღების შემდეგ მეგობრულად გამეცნო ერთი ახალგაზდა ხოჯა, გვარად აბაშიძე, რომელიც სტამბოლში გაზრდილა, სწავლა მიუღია სტამბოლის ოსმალთ სასულიერო სასწავლებელს რეშტიაში. ამ დღეს ესეც იყო ჯამეში მლოცველად. მეტად ესიამოვნა ჩემი გაცნობა. მთხოვა, ჩემთან წამოდიო, და მეც, წავყევ ქართულს კარგად ლაპარაკობს, ცოტა ქართული კითხვაც იცის. დამავალა ლოცვებისა და „მუჰამედის ცხოვრების“ წაკითხვა. მე წავუკითხე. სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექმნა, გადამეხვია და დამკოცნა. „ოი კოლა, ოი კოლა“-ს ძახილს რიცხვი არა ჰქონდა. ასეთს საქმეს ჩვენ ვერ მოვიფიქრებდითო. ხოჯა არც ისე ფანატიკოსია, როგორც ჰანელი და ლაზელი ხოჯები. თვით სოფლად სცხოვრობს. აქ მხოლოდ პარასკეობით ჩამოდის სალოცავად. თავისს სოფელში სკოლაც აქვს, 50 მეტს ქართველ თათრის ბავშვებს ასწავლის თათრულს. ეხლა, რა-კი ქართული წიგნები მექნება, ჯერ მე შევეჩვევი და მერე ბავშვებს დავაწყებინებ კითხვასაო.

ქობულეთში ძალიან სწუხან უსკოლობის გამო, არ იციან საიდგან რა მოახერხონ. ამათ აქამდის თავიანთი სკოლა მაინც ჰქონდათ და ახლა ესეც აღარა აქვთ. ამის მიზეზი აი რა არის: ამათ ჰყავდათ ერთი მოხუცი ხოჯა, გვარად ემინ-ეფენდი კობალაძე. 35 წელზედ მეტია, რაც ეს კაცი ხოჯად იმყოფებოდა და იმათს ბავშვებსაც ასწავლიდა თათრულს წერა-კითხვას. ეს ხოჯა ქართულს კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ ქართული წერა-კითხვა არ იცოდა. ეს მოხუცი ხოჯა, ამდენის ხნის ნამსახური, ქობულეთის ქართველ მაჰმადიანებმა დაითხოვეს, რადგანაც იგი დაბერდა და ბავშვების სწავლება აღარ შეუძლიანო. ამის მაგიერ მიუღიათ ვიღაც ჰანელი ხოჯა, რომელმაც ქართული ენაც იცის, მაგრამ სკოლა-კი მაინც არა აქვს და თუნდა რომ ჰქონდეს, ეს მაინც უარესის ფანატიკურის გრძნობებით გააფანატიკოსებს ქართველთა პატარა ბავშვებს. ვიდრე კაცი თავის თვალით არა ნახავს, მინამდის ვერ დარწმუნდება ამ ჰანელ და ლაზელ ხოჯების ასეთს საშინელს ფანატიკოსობას. ესენი არიან მიზეზნი ქართველ მაჰმადიანთა ფანატიკოსობისა და იმ სიძულილისა, რომელსაც ქართველი მაჰმადიანები იჩენენ ჩვენდა მომართ. ასეთი ხოჯები თავიანთის მოქმედებით ძლიერ იქებიან და იდიდებიან აქეთ და საწყალს შინაურს ქართველს ხოჯებს-კი გაკითხვა არა აქვთ. ამას ისიც ამტკიცებს, რომ რაც ეს ხოჯა იმყოფება აქ, მას შემდეგ ნახევარჯელაც არა ყოფილა აქ და დღესაც საცა-ღა იმყოფება ოსმალოში, თავის ალაგას ვიღაც ერთი ჰანელი ხოჯა დაუსვამს და ეს განაგებს აქ. ამის შესახებ-კი არც ერთი ქართველი მაჰმადიანი სიტყვას არ ამბობს და ქართველი ხოჯა რომ ერთს დღეს წავიდეს სადმე, იმაზედ მაშინვე-კი დაიწყებენ საყვედურიანს საუბარს.

კარგი იქნება, რომ ქართველი მაჰმადიანები ამას ყურადღებას მიაქცევდნენ და უპირატესობას თავიანთ მოძმე ქართველს ხოჯებს აძლევდნენ, რომელნიც იმათს ჭირშიაცა და ლხინშიაც მონაწილეობას მიიღებენ. ჰანელ-ლაზელ ხოჯებისაგან-კი რა გამოვა საბოლოოდ? არაფერი, ესენი აქ დროებით იქნებიან, გაჰყვლეფენ ხალხს, ფულებს მოაგროვებენ, ჯიბეს გაიტენენ, გასძარცვენ საცოდავებს და ბოლოს წაბრძანდებიან იქითკენ, საიდგანაც მოვიდნენ. ამისი მაგალითი ბევრი ყოფილა დ ბევრიც იქნება. ერთმა ჰანელმა ხოჯამ ასე გამოაცხადა: „ვინც ქვეით (ოსმალეთში) წავიდა, ის ცხონდა და ვინც აქ დარჩა, ის წაწყმდაო“. ეს ხოჯები რომ მავნებელნი არიან და ქართველობის დიდი მტრები, ამას ცხადად ამტკიცებს მათი მოქმედება. ამას გარდა, ბევრი ქართველი ხოჯაც ლაპარაკობს, რომ თათრული ენა და წიგნები თუ გავრცელდა აქ, ეს ჰანელ და ლაზელ ხოჯებისაგან მოხდებაო. ეს ხოჯები აქა-იქ სოფელ-სოფელ დაძვრებიან და ათასს მავნებელს რასმე უქადაგებენ ქართველ მაჰმადიანებს.

ორმა სამმა ხნიერმა და მცოდნე ქართველ მაჰმადიანმა-კი მითხრა, რომ ჰანელ და ლაზელ ხოჯების აქ ყოფნა დროებითია, ესენი აქ ველარაფერს გააწყობენ; რამდენიც უნდა იქადაგონ, მაინც არაფერი იქნება, ოსმალური აქ დავრდომას მიეცა და არა გავრცელებასაო. აქ-კი არა და გულ-ალა-კაკაც-ოღლიმ გადმომცა, რომ ქართულს წიგნებს ტრაპიზონში გადასული ქართველები ისე კითხულობენ, რომ წიგნები სულ უბეში უქვეთო. ეს წიგნები შარშან გაიგზავნა ქაო. ესევე აღიარა ერთმა იქიდგან მოსულმა მოხუცებულმა ხოჯამ. საწყლები, იქიდგან მწარეთ მოსტირიან თურმე საქართველოს, მაგრამ რას იზამენ, ოსმალოს მთავრობა გადმოსვლის ნებას აღარ აძლევს. მაინც-კი აქ, ჩურუქსუში, ძალიან ხშირად შეხვდება კაცი ქვეიდამ მოსულებს.

ჩურუქსუში, ქართულ წერა-კითხვას გარდა, გავრცელებულია კიდევ ქართული „ავგაროზები“. ამას გარდა, აქა-იქ ძველებური ქართული ექიმობაც სცოდნიათ. ერთს ოჯახში ძველი „კარაბადინებიცა“ აქვთ და ამ „კარაბადინების“ საშუალებით ექიმობენ. სხვათა შორის აქედგან ქართველს თათარს გამოეწერა ფალარათობის წამალი, ბალახი დალმათითა იხმარებაო და ყაზბობის აღმათითაო. ამათში ბევრი შელოცვა იციან, რომელთა უმეტესი ნაწილი ქრისტიანობის მოძღვრებზეა დაფუძნებული. სხვათა შორის, ქართველ მაჰმადიანთ ვაჭრებში აქა-იქ ქართულს „კედლის კალენდარსაც“ შევხვდი, ბათუმში ვიშოვნეთო. მერმისს ქართველი მაჰმადიანი ვაჭრები ძალიან ბევრს შეიძენენ ამ „კალენდრისასო“.

წიგნაკმა „თამარ მეფემ“ ბევრი ამბავი გამოიწვია, აქა-იქ თამარ მეფის შესახებ საუბარი დაიწყეს. ბევრს ზეპირ ამბებს ლაპარაკობენ იმის გამო. ამ მეფეს დიდად დიდს პატივსა სცემენ და ერთიავად წიგნებს ატარებენ აქა-იქ, წიგნებზედ დაბეჭდილს თამარ მეფის სურათს უცქერიან და სტკბებიან მისის მზერით.

დღეს აქ, ჩურუქსუს ჯამეზედ, ვნახე ერთი ქართველი მაჰმადიანი, რომელსაც 140 წლის პაპა ჰყავს. ამ მოხუცს კაცს თურმე კარგად ახსოვს ქობულეთის გათათრება. ჩემს დროს გავთათრდითო. ქობულეთის გათათრება 120 წლისწადიაო. ამ მოხუცს ბევრი რამ საინტერესო ცნობა ახსოვს იმერეთის მეფის სოლომონ პირველის, სოლომონ მეორისა და განსაკუთრებით გურიელების ცხოვრებიდგან, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ ამათ ოსმალეთის მთავრობასთან და ან ოსმალეთს რა გვარის ოსტატობით წაურთმევია ეს მხარე იმერეთის სამეფოსათვის.

ჩურუქსუში «ივერია» ერთ ვაჭარს მოსდის და სხვა ქართველი მაჰმადიანებიც კითხულობენ. ერთი ქართველი მაჰმადიანთაგანი სწერს ისტორიას იმის შესახებ, თუ რა გვარს მდგომარეობაში იყვნენ ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთის ხელში, რა გვარის უფლებით სარგებლობდნენ და ან რა წესები არსებობდა აქ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამდე.

ქობულეთში ახალი გადმოსახლებული რუსებიც სცხოვრობენ და, ამათ გარდა, ქართველი ქრისტიანებიც. აქამდის ამათ აქ მღვდლად რუსის მღვდელი ჰყავდათ. ეხლა ეს აქედგან გადაუყვანიათ და ამის მაგიერ დაუნიშნავთ ქართველი მოძღვარი, ბენიამინე ღლონტი, გურული, სემენარიელი, რომელმაც ამ ოთხის წლის წინად დაამთავრა სემენარიაში სწავლა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მ. ბენიამინე აქაურს ქართველ მაჰმადიანებსა და მოლასა და ხოჯებში სრულს თანაგრძნობასა და სიყვარულს დაიმსახურებს.

იქნება ქობულეთის სკოლის საქმე რითიმე გათავდეს. „წერა-კითხვის საზოგადოება“ თუ ვერ დააარსებს აქ სკოლას, მაშინ ამ საქმეს შეიძლებს პატივცემული მ. ათანასე, არხიმანდრიტი კავკასიძე. ამას წინად ვნახე ეს არხიმანდრიტი და მან დამავალა: „გარდაეცით „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომ თუ თქვენ არ დააარსებთ ქობულეთში სკოლას, მაშინ მე გადმომეცით, რაც-კი ამ სკოლისათვის მოგროვილი ფული გაქვსთ, და მე დავაარსებ სკოლასაო“. იმედია, რომ ეს საქმე დროზედ დაბოლოვდება და სამუდამოდ გათავდება კინტრიშის ხეობის ქართველ მაჰმადიანთ ყმაწვილების საქმე.

სწორედ გული ეტკინება კაცს, როცა ამ მხრის პატარა ბავშვებს ჰხედავს აქა-იქ ქართულის პატარა წიგნებით. დადიან, იხვეწებიან, იმუდარებიან, ქართული ანბანი შეგვასწავლეთო. დიდსა და პატარას ქართული წიგნები ყანებში უბით დააქვთ, დასვენების დროს შიგ ჩასჩიჩინებენ და ანბანსა სწავლობენ.

ზ. ქ.

## ექიმების აზრი ხოლერის შესახებ *)

ვ. ი. ათანასიევი.

— მე ჩემს თავს ნებას მივცემო, უთხრა თურმე ექიმმა ათანასიევმა გაზეთის თანამშრომელს: თქვენ მიერ აღნიშნულს პროგრამას ავცდე და მარტო იმის შესახებ ვილაპარაკო, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ხოლერის მორჩენის საქმეს. რაც შეიძლება, ყოველთ უწინარეს, იმას უნდა ვეცადნეთ, რომ ხოლერას გზა შევუკრათ.

— მერე როგორ უნდა მოვახერხოთ ეგა?

*) რადგან ამ ჟამად ყველა ხოლერის ნიშნებსა და იმის წამლობის შესახებ ჰლაპარაკობს, ამიტომ გაზ. „Новости“-ს სატახტო ქალაქის ექიმების აზრი შეუკრებია ამ საგნის თაობაზედ. მოგვყავს ექიმთა ნალაპარაკევი.

— ყოველივე უნდა მოვიშოროთ თავიდგან, რაც-კი ხოლერის შხამის განვითარებას ხელს უწყობს და უმართავს. ყოველთვის სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ხოლერა უფრო იმათ ეტანება, რომელთაც სტომაქი, სანოვაგის მოსანელებელი ორგანოები მოშლილი აქვთ. ამიტომ ამისთანებს ის უნდა ვურჩიოთ, რომ ჯერ კუჭი განიკარგონ, სტომაქი განიუკეთესონ. შემდეგ ცნობილია, რომ წყალი დიდად ხელს უმართავს ხოლერის გავრცელებას. ამიტომ აუდუღარ წყლის სმას უნდა ვერიდნეთ. დიდი ყურადღებავე უნდა მივაქციოთ სისუფთავეს, უმთავრესად-კი წყარო-ჭებს. რაც უფრო ღრმად არის მიწაში წყალი, მით უფრო შიში არ უნდა ჰქონდეთ იმ ადგილის მცხოვრებლებს ხოლერისა. შემდეგ თქვენი ყურადღება მინდა იმ გარემოებასაც მივაქციო, რომ ყოველ გვარი დაქანცვა-დაღალვა, სულ ერთია, ფიზიკური იქნება თუ გონებრივი, მავნებელია. ამიტომ ყოველთვის დაქანცულობას უნდა ვერიდნეთ და საზოგადოდ სრულიად ზომიერი ცხოვრება ატაროთ. ამ მხრივ კარგი იქნება, რომ ქალაქს გარეშე მყოფს ბაღებში, თუნდა, პირველ საათს შემდეგ მაინც აღუკრძალონ ვაჭრობა, თორემ ჩვენი მოქეიფე ახალგაზდანი ბაღებში ქეიფს ანდომებენ დროს 3—4 საათამდე და ამით სხეულში ნიადაგს უმზადებენ ხოლერის შხამს. საზოგადოდ უნდა ერიდნეთ გადაჭარბებას ყოველისფერში. შიში მხოლოდ საქმესა ჰვნებს.

მ. ი. გალანინი.

(რედაქტორია „საზოგადოებრივ ჰიგიენისა, სასამართლო და საზოგადოებრივ მედიცინის მოამბესი“)

ხოლერის ნიშნები ორ გვარია: ა) ხოლერის წინამორბედი ნიშნები და ბ) თვით ხოლერის დაწყებისა. პირველად ადამიანის სტომაქი საჭმელს გაჭირვებით ინელებს, შემდეგ ფაღარათობა ეწყება, თუნდა ოდნავაც გააფაღარათოს. ასეთს მდგომარეობაშია ავადმყოფი რამდენსამე დღეს—ერთ კვირამდე და მეტსაც და შემდეგ უეცრად ხოლერა ეწყება (პირს საშინლად ასაქმებს, აფაღარათებს, გული სუსტად უცემს, ამის გამო ხელფეხი ულურჯდება და უცივდება, კუნთები ებუჟებ-ეკრუნჩხება და სხ.).

უცბად არ უნდა შევცვალოთ ჩვეულებრივი წესი ცხოვრებისა, მხოლოდ გადაჭარბებას საჭმლის ხმარებაში-კი ყოველთვის უნდა ერიდნეთ. აუდუღარი წყალი არა სვათ, ხილეულობა და მწვანილეულობა არა სჭამოთ. სასმელებში ნუ მიეკარებით ლუდს (პივოს), რადგანაც შეიძლება კუჭის ავადმყოფობა აუტეხოს ადამიანს და ეს-კი დიდად მავნებელია; ღვინო-არაყი-კი ზომიერად უნდა იხმაროთ, ჩვეულებრივზედ ნაკლებიც-კი. შუშხუნა წყლების შესახებ ვერც ჰოს ვიტყვი ჯერ-ჯერობით, ვერც არას, იმის ნაკლებად ხმარებასაც-კი სამჯობინოდა ვხედავ. პირ-იქით, სრულიად უვნებლადა და დიდად სასარგებლოდაც მიმაჩნია მარილის სიმჟავის დალევა (acidum muriaticum dilitum), რომელიც ყოველს საჭმლის ხმარებაზედ 3—5 წვეთი უნდა მიიღოთ ნადუღარს წყალში.

ხოლერის წამლობის დროს თითქმის იგივე საშუალებანი უნდა იხმაროთ, რომელსაც ჰხმარობთ მისგან უზრუნველ-საყოფლად, ყოველივე ის, რაც აგვაცილებს კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობასა და სტომაქის მოშლას, რომელნიც, როგორც ვსთქვით, წინ უძღვიან ხოლერას. ამ საშუალებათა შორის უნდა დავასახელოთ ზომიერი სმა-ჭამა, მუცლის თბილად შენახვა, სუსტი ფაღარათობის წამალი, თუ მუცელში შეკრული ხართ, და თბილი ტლეები (კომპრესები), ბოტკინისა და ინოზემცევის კაპლები, თუ ოდნავ გაფაღარათებთ, ზემოდ დასახელებული წყალში გახსნილი მარილის სიმჟავე და, ზოგიერთს შემთხვევაში, ბორაკი (სოდა). ყოველს შემთხვევაში-კი მაშინვე, შეატყობთ თუ არა თავს რასმე, ექიმს უნდა მიჰმართოთ და იმის წამლობას დაუჯეროთ. საზოგადოდ ხოლერის დროს საქმე ისე უნდა იყოს მოწყობილ-მომართული, რომ ყოველს ავადმყოფს ექიმის ნახვა შეეძლოს.

ა. გ. ბატალინი.

— ყოველთ უწინარეს შიში არ უნდა გაიტაროთ გონებაში, არხეინად და გულ-დინჯად იყვნეთ. ზომიერი ცხოვრება ატაროთ. გადაჭარბება არაფერში ვარგა. მაგალითებრ, ზოგიერთმა ხოლერის გამო ბრძოლა გამოაცხადეს ხილეულობისა და კვასისა. მე ამის წინააღმდეგი ვარ. რატომ, შეიძლება ხილიცა სჭამოს ადამიანმა, თუ მწიფეა, მოსული, და კარგად მოდუღებული კვასიც დალიოს. თავი და თავი ის არის, რომ აუდუღარი წყალი არ დალიოთ. შემდეგ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხოლერის ბაცილა მხოლოდ მაშინ არის მავნებელი და გადამდები, როდესაც სტომაქში ამოჰყოფს თავს. ამიტომ შეგიძლიანთ სრულიად არხეინად მოუაროთ ხოლერით ავადმყოფს და ავად გახდომის შიში არა გქონდეთ: საშიში, ავადმყოფი-კი არა, მისი განავალია. ამ განავალს უნდა მოუხერხოთ რამე, წამლები დაასხათ, ან სრულიად გააუქმოთ. რაც შეეხება წამლობას, ამ მხრივ ყოველივე ექიმს უნდა ჰქონდეს მიჩემებული, რადგან ავადმყოფებს ამ საქმეში მე არ ვენდობი.

ს. ა. ლიპსკი.

ხოლერასთან საბრძოლველად დიდძალი, აურიცხველი ღონისძიება უნდა იყოს ხმარებული, რათა სენს გავრცელების გზა შეეკრას და ისე აღარ მოედოს ყველგან. ავადმყოფობის ნიშნებისას არას გეტყვით: ეს ნიშნები მეტად მრავალ გვარია, მხოლოდ ყოველი-კი კუჭისა და სტომაქიდგან იწყება. აქავე თქვენი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციო იმ გარემოებას, რომ საჭიროა ხშირ-ხშირად და ცოტ-ცოტა ჭამა, ამის წყალობით სტომაქი უფრო წესიერად და რიგიანად ჰმუშაობს. კარგია სახმარებლად მარილის სიმჟავე, რომელიც ჰკლავს ხოლერის ბაცილას და გამრავლების ნებას არ აძლევს. რასაკვირველია, ყოველს ამას ზედ უნდა ერთოდეს ზომიერი სმა-ჭამა და ცხოვრება.

## დეპეშა

8 ივლისი

**პეტერბურგი.** ოფიციალურად გამოცხადებულია, გზათა უწყების ინჟენერები დანიშნულნი არიან, რომ ხელმძღვანელობა გაუწიონ იმ ღონისძიებათა ხმარებას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოღებული იქნება სამდინარეო გზებით ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ: სალოვი დანიშნულია ვოლგას ნაწილზედ, რიბინსკსა და ნიჟნს შუა, გოლოვაჩევი—დნეპრთან და ლოხვინი—დნესტრთან.

ასტრახანში ხოლერის მსხვერპლთა რიცხვი თანდათან მცირდება. უკანასკნელს დღეებში 257 სული გარდაიცვალა. კვლავ გარდაიცვალნენ: ბაქოს გუბერნიაში 81, სარატოვისაში—78, თურქესტანის მხარეში—76, დაღესტნის ოლქში — 78, ცარიცინში—70, თერგის ოლქში—53, სამარას გუბერნიაში—45, განჯისაში — 31, ვორონეჟ-სარატოვის რკინის გზის სადგურებზედ—20, დონის ოლქში—14, დონის როსტოვში—12, აზოვში—9 და ვორონეჟში—2.

„Гражданинъ“-ს გაუგონია: იმ დივიზიების უფროსებს, რომლებიც დაბანაკებულნი არიან ყაზანის ოლქში, მიეწერათ, რომ აასრულეთ ხოლმე ყოველივე თხოვნა გუბერნატორებისა წესიერების დასაცველად ჯარის გაგზავნის შესახებო.

„Юридическая Газета“ იუწყება: ასტრახანისა და სარატოვის გუბერნიებში მომხდარ უწესოებათა ბრალდებულნი და დამნაშავენი სამხედრო სამართალში იქმნებიან მიცემულნიო.

9 ივლისი

**პეტერბურგი.** ბაქოში ხოლერა სუსტდება; ქალაქსა და გუბერნიაში კვლავ გარდაიცვალა 50 კაცი. ამ დღეებში კიდევ გარდაიცვალნენ: ასტრახანის გუბერნიაში—161, სამარისაში—128, თურქესტანის ოლქში—96, დონის ოლქში—75, განჯის გუბერნიაში—64, დაღესტანის ოლქში—39, სიმბირსკის გუბერნიაში—11, იმიერ-კასპიის ოლქში—9, ყუბანის ოლქში—6.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ რადგან მეტად იმატა სადეზინფექციო საშუალებათა ფასმა, ზოგიერთმა გუბერნატორებმა ლაპარაკი აღძრეს, რომ უფლება მოგვეცეს ამ საშუალების ძაზანდის დაწესებისაო.

**სოფია.** ბელჩევის საქმის გამო: სვიატოსლავ მილაროვს, კონსტანტინე პოპოვს, თომა გიორგიევს და ალექსანდრე კარაგულოვს სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტათ; პორუჩიკს ვასილიევს, სტოია ჯუჯევს და ივანე ბობეკოვს—9 წლით ციხეში დაპატიმრება; დიმიტრი სტანკოვს—საპატიმრო 16 თთვით; სპას ლიპავცევს—სიკვდილით დასჯა, რომ ამ სასჯელამდე 5 წელიწადს საპატიმროში უნდა დაჰყოს; პეტკო კარაველოვს—5 წლით საპატიმრო, ტრაიო კიტაიჩევს—3 წლით, გონგი ველიკოვს—15 წლით.

**სოფია.** რაკი სასამართლომ შეამსუბუქებელი გარემოებანიც დაინახა, სპას ლიპავცევს სიკვდილით დასჯა 5 წლით დაპატიმრებად შეეცვალა.

**ლონდონი.** სიმლიდგან დეპეშით იუწყებიან დღეს, რომ, როგორც ხმა დადის, აჯანყებულმა ხაზარასელებმა ორჯელ შეიტყუეს თურმე ემირის ჯარი საფარში, 700 კაცამდე დაჰხოცეს და დიდძალი იარაღი წაართვეს. ავღანისტანის ემირმა ინდოეთის მთავრობის წერილის პასუხად მისწერა და დაჰპირდა, რომ ბაჯუარებს არ დაეცემი, თუ თითონვე იძულებულ არა მყვესო; იგი ამტკიცებს, რომ ამას წინად ჩემს ჯარსა და ავღანიის სხვა ტომთა ჯარს შორის მომხდარ შეტაკების ბრალი უმრა-ხანს უნდა დაედოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივლისი

| | მყიდველნის. | გამყიდველნის. | გაყიდულნის. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | 8,09 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161¼ | 162 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221¾ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 192½ | 193 |
| ვირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

**გამოსადეგი ცნობანი**

ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის რჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისათს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „


# განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმეა დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევისე 2 საათამდე. (150—70)

**შეშა**
**დიდს საწყობში**
რკინის გზის ვაგზალთან, ყორღანოვის ცხენის რკინის გზის ლიანდაგს ახლო.
ისყიდება შეშა წვრილ-წვრილად, ½ კუბიკურ საჟენიდგან დაწყებული, ხმელი სამზარეულო და პურის საცხობი შეშა უფრო იაფ ფასად, ვიდრე ურმობით იყიდება. აქვე ყიდულობენ ნარდად შეშას ტყის პატრონთაგან. 10—7

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ. I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |

წ არ მ ო ე ბ ა
ასფალტის სამუშაოთა.
ისყიდება
**ასფალტი და გუდრონი**
უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.
მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;
ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს.
(15—15)

**მაღაზია სარპინკებისა**
(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაზოვისა).
ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის
დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.
სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.
სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.
სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.
ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**
**ბენდერ და სცეფანოვი**
(35—56—34)

**გამოვიდა და ისყიდება**
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი
**ზადიგი**
მოთხრობა ვოლტერისა
გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ
ფასი 20 კაპ.
იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**„ივერია“**
1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.